№ 11

კვირა, 16 იანვარი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 11

კვირა, 16 იანვარი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა, ელენე, ლევან და ირაკლი წერეთლები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელი მეუღლისას და მეორენი ძვირფასის მამისას

## გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლისა.

პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე, დილის 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ, არტილერიის ქუჩაზე, № 5, საკუთარ სახლში. მიცვალებულის გვამი გასვენებულ იქმნება კვირას, 16 იანვარს, დილის 10 საათზედ, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, ხოლო დაკრძალულ დიდუბის ეკკლესიის გალავანში.

„კვალის“ რედაქცია აუწყებს თავისს თანამშრომელთა და მკითხველთ გარდაცვალებას

## გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლისა.

პანაშვიდი დანიშნულია ყოველ-დღე, დილის 12 საათზე და საღამოს 7 ს. „კვალის“ რედაქციაში (არტილერიის ქ., № 5).

სამშაბათს, 18 იანვარს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებისას პოდპოლკოვნიკის

## იაკობ ივანეს ძის იმნაძისას

გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი კუკიის ნიკოლოზის ეკკლესიაში, ჩუღურეთს, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე, შვილები და სიძე განსვენებულისა. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ, პანაშვიდი—$11^1/_2$ საათზედ. (1—257—1)

სამშაბათს, 18 იანვარს,

## კნ. ელენე ქაიხოსროს ასულის ფავლენიშვილის

გარდაცვალებიდგან ერთის წლის შესრულების გამო იმის სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი სოფ. ზემო-ნიქოზის ეკკლესიაში, რასაც განსვენებულის შვილი თავ. ზაქარია ბესარიონის ძე ფავლენიშვილი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება 10 საათზედ. (1—259—1)

**ელიზბარ დავითის ძე და მარიამ გიორგის ასული გუგუშვილნი, ილია სოფრომის ძე ინალიშვილი და კონსტანტინე ნიკოლოზის ძე გრიგოლია** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი საყვარელი შვილისას, მეორე დისწულისას, ხოლო უკანასკნელი ბიძაშვილისას 2 ტფილისის კლასიკურ გიმნაზიის მოსწავლის

## დავით ელიზბარის ძის გუგუშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ კვირას, 16 იანვარს, შუადღ. 12 საათზედ, ელისაბედის ქუჩაზედ, ჯაფარ ძის სახლში, № 27. (1—ფ.—1)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა.

განსვენებულის

## გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლის

დაკრძალვის გამო სადღეისოდ დანიშნული წარმოდგენა გადაიდო. (1—1)

## სტეფანე გულიევის

**მაუდის მაღაზია**, რომელიც ამ ჟამად დახურულ ბაზარშია, 1 თებერვლიდგან გადადის შადინოვის ქარვასლაში ძმ. მილოვების პირდაპირ. (5—252.—1)

წევრთ

## საურთიერთო დახმარების ამხანაგობისას,

რომლის წესდება არ იქმნა დამტკიცებული ამ ხუთის წლის წინად, ვთხოვთ მობრძანდნენ კვირას, 16 იანვარს, დილის ათ საათზე სამეურნეო ბანკის სადგომში გასანაწილებლად 167 მანეთისა და 41 კაპ., რომელიც კასსაში დარჩა ამხანაგების ყველა წევრთა დაკმაყოფილების შემდეგ. (2—6.—2)

## ექიმი

## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით** ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—76)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ვაადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** $1-1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შვაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $7-7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმპართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ე. პ. გაუდლინი.** 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარა- [illegible] 12—1 [illegible]

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანიშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

ტფილისი, 15 იანვარი

დღეს ქართველი საზოგადოება მიწას აბარებს გვამს გარდაცვალებულის გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლისას. განსვენებულის ღვაწლს, მისის მოღვაწეობის სიმართლესა და ავკარგს ისტორია დააფასებს, რადგან იგია პირუთვნელი, უტყუარი და მიუსყიდველი მსაჯული ყოველის საზოგადო მოღვაწისა. ჩვენ-კი პატივსა ვცემთ ცხედარს იმ კაცისას, რომელიც სულითა და გულით ქართველი იყო, რომელსაც თავისის ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ ჰქონდა გული აღძრული და თავისის საზოგადო მოქმედების საგნადაც სწორედ ეს ერი'ა და ქვეყნის სიკეთე ჰქონდა დასახული.

განსვენებულის ღირსების აღსანიშნავად კმარა ისიც, რომ მან ოცდა ათის წლის განმავლობაში იშრომა საზოგადო საქმისათვის, იშრომა მაშინ, როდესაც ასეთი შრომა ეხლანდელთან შედარებით გაცილებით ძნელი იყო, როდესაც გზა საზოგადო სარბიელისა უფრო ხშირის ეკლით იყო მოფენილი და პაწია საქმესაც-კი იმდენი მხნეობა, გარჯა და გულის ტკივილი სჭირდებოდა, რამდენიც ეხლა დიდსაც ძნელად დასჭირდება. განსვენებულსა და მასთან სხვებს ხვდათ წილად ამ გზის პირველ ეკლიართან შებრძოლება, პირველი უანგარო შრომა მისის ცოტად თუ ბევრად გაკაფვისა შემდეგთა საზოგადო მოღვაწეთათვის უფრო ადვილ სასიარულო გზის შესაქმნელად.

დაურთეთ ამას თუნდა მარტო მისი უტყუარი ბელეტრისტული ნიჭი, გაიხსენეთ მისი შესანიშნავი მგზავრის წერილები, „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“, „მამიდა ასმათი“, „რუხი მგელი“, „პირველი ნაბიჯი“ და მრავალი სხვა, რომელთა წაკითხვითაც ბევრჯელ დამტკბარა ქართველი მკითხველი და რომელთა შექმნასაც განსვენებულმა სიცოც- [illegible] რიდ მოწიწებითა და პატივისცემით მოიხდით ქუდს მისის ცხედარის წინაშე.

ფარნაოზი

## ახალი ამბავი

*** რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „სხვებთან ერთად გულით ვწუხვართ და ვგლოვობთ დაუვიწყარის მოღვაწის გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლის უდროოდ გარდაცვალების გამო.

რევაზ ფავლენიშვილი, ალექსანდრე წინამძღვრიშვილი, ნიკოლოოზ კასრაძე, მანასე კაპანაძე, ივანე ელიოზიშვილი, ვასილ ძუცოვი, ლაზარე კვინიკაძე, ივანე ცერაძე, გიორგი ბაქრაძე, ალექსანდრე მაჩაბელი“.

*** ქუთაისიდგან დეპეშით გვატყობინებენ, რომ ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს და გამგეობას გადაუწყვეტია განსვენებულის გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლის სულის მოსახსენებლად გადაიხადოს პანაშვიდი, გამოუცხადოს სამძიმარი განსვენებულის ოჯახს, შეამკოს გვირგვინით კუბო და გამოგზავნოს ტფილისში დასაფლავებაზედ დასასწრებად ბანკის გამგე ბ-ნი ჩიკვაიძე, ზედამხედველ კომიტეტის წევრი თავ. ბარათაშვილი და დავიდოვი.

*** ჩვენ მივიღეთ თიანეთიდგან შემდეგი დეპეშა:

თიანეთლები დიდათ ვწუხვართ, რომ სამშობლო ლიტერატურამ დაჰკარგა ნიჭიერი და ჯერ კიდევ შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე გიორგი წერეთელი. დღეს პანაშვიდს გარდავიხდით განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

თიანეთის საზოგადოება

⁂ გიორგი წერეთლის გარდაცვალებისა გამო შემდეგი სამძიმრის დეპეშებია მიღებული:

ბაქოდგან: 1, ქართველი საზოგადოება; 2, ელიაშვილისაგან.

ქარელი: ლუარსაბ ციციშვილისაგან.

ქუთაისი: 1, გრ. მელანია და გველესიანი; 2, ქალაქის მოურავი ლოლუა; 3, საურთიერთო კრედიტის გამგეობის თავმჯდ. თუმანოვი.

ჭიათურა: 1, ყარამან ჩხეიძე; 2, ანეპოდისტ მაჩაბელი.

სიღნაღი: 1, სიღნაღის ქართველობა; 2. ნინო ანდრონიკაშვილი.

ბათუმი: დავით კლდიაშვილი, ბათუმის ქართველი საზოგადო და ვოლსკი.

ფოთი: ნიკ. ნიკოლაძე, იაკობ ფანცხავა და ეპისკოპოსი ალექსანდრე.

ქუთაისი: 4, ნატალია ქორქაშვილი; 5, კემულარია; 6, პავ. თუმანოვი; 7, დეკან. გიგაური: 8, ნ. მხეიძე; 9, თეოდ. ხელთუფლიშვილი.

სურამი: პელაგი მაჰავარიანი.

ყვირილა: სერ. ბახტაძე.

მოსკოვი: დიასამიძე და გრაფინია უვაროვისა; მოსკოვის ქართველი სტუდენტობა; ხახანაშვილი.

ქუთაისი: 10, ალექს. საყვარელიძე; 11, [illegible] თოფურია; 13, კირ. ლორთქიფანიძე და პეტრ. წულუკიძე.

ცაგერი: მღვდლიევი; გრ. ბარათაშვილი.

განჯა: სარაჯოვი; ოლგა აბულაძე.

კავკავი: კავკავის ქართ. საზოგ. ალექსი ჰიჰინაძე.

გორი: ქართველი საზოგადოება.

ქუთაისი: 14, დავით ლორთქიფანიძე; 15, თუმანოვი.

ოდესა: დუტუ მეგრელი.

ახალქალაქი: ქართველობა.

ყაზანი: ქართველი სტუდენტობა.

ტომსკი: ტომსკის ქართ. სტუდენტობა.

ხარკოვი: ხარკ. ქართველი სტუდენტობა.

იურიევი: გელეიშვილი, ნასრაძე.

ვარშავა: ქართველი მოსწავლენი.

⁂ ხუთშაბათს, 12 იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა კ. მესხის საბენეფისოდ წარმოადგინა უ. შექსპირის კომედია „ცოლის მორჯულება“ და ვოდევილი „ყვავები“. ორივე პიესა არტისტებმა კარგად და მხიარულად ჩაატარეს, თუმცა ზოგი ერთს როლის უცოდინარობა ეტყობოდა. მობენეფისეს კ. მესხს მრავალი საჩუქარი მიართვეს. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო.

⁂ ბ-ნ მიწად მოქმედების მინისტრის რწმუნებულის ი. ს. მედვედევის თავჯდომარეობით შემდგარს კომიტეტს მრავალი ექსპონატები მოსვლია კავკასიის სხვა და სხვა კუთხიდგან პარიჟის მსოფლიო გამოფენაზე გასაგზავნად. კომისიას აზრად აქვს ეს ექსპონატები გაჰგზავნოს ბათუმიდგან მარსელში არა უგვიანეს 20 იანვრისა.

⁂ სახალხო კითხვების კომისიის რამდენსამე წევრს შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება დაგვრთეთო ხელის მოწერით ფულები შევაგროვოთ ტფილისში სახალხო სახლისთვის შენობის ასაგებად, რომელშიაც მოთავსებული იქმნება: სახალხო თეატრი, წიგნთ საცავ-სამკითხველო და აუდიტორიაო. ასეთი სახლის აგება, როგორც გამოუანგარიშნიათ, 40 ათას მანეთამდე დაჯდება.

⁂ აზრადა აქვთ ამა წლის შემოდგომაზე სამრთო სჯულის მასწავლებელთა და საეკლესიო სკოლების გამგეთ კრება მოახდინონ. კრებამ უნდა გამოარკვიოს ხსენებულ სკოლების საჭიროებანი და საშუალებანი გამოსძებნოს ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. კრება ტფილისში მოხდება.

⁂ როგორც ქალაქის გამგეობის ხარჯთ აღრიცხვიდგანა სჩანს ქალაქს შემოსავალი ამა 1900 წელს ექნება 1.244,799 მან., ხარჯი 1.246,400 მან.

⁂ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რკინის გზათა მართველობამ გარდასწყვიტა ამ წლიდგან შემოიღოს ხმარებაში ახალი ბილეთები იმათთვის, ვისაც რკინის გზებზე უსასყიდლოდ სიარულის ნება აქვთ; თითოეულს ბილეთსზედ ექნება ფოტოგრაფიული სურათი პატრონისა, ასე რომ იმის გარდა ამ [illegible]

⁂ კავკასიის უმაღლეს მთავრობას, როგორც „კავკას“-ი იუწყება, შუამდგომლობა აღუძრავს ზუგდიდში შემოკლებულ თვით-მმართველობის შემოღების შესახებ.

⁂ ტფილისის ხმოსნების კომისიას, რომელიც არჩეულ იქმნა რუსეთის და საქართველოს შეერთების ასის წლის დღესასწაულის პროგრამის შესადგენად, უკანასკნელი სხდომა ექმნება ამ თვის დამლევს.

⁂ მოსკოვის ჟურნალ „Рус. Арх.“ აღწერილია ცხოვრება თავ. გრიგოლ ალექს. გრუზინსკისა, რომელიც წარსულ საუკუნეს გარდასახლებულა რუსეთში. თავ. გრუზინსკი ერთ დროს ამორჩეული ყოფილა ნიჟეგოროდის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად.

⁂ ქ. ვლადივოსტოკიდგან დეპეშით გვატყობინებენ, რომ იქ 14 იანვარს, ადგილობრივ ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ევსევის ნება-რთვით, მღვდელს სოლომონ, იმერლიშვილს ქართულად უწირავს.

⁂ ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად შემდგარ მთავარ კომიტეტს 12 იანვარს კრება ჰქონდა. ამ კრებაზედ თავმჯდომარემ ი. ნ. სვეჩინმა განაცხადა, რომ შემოწირულებანი ფულით კომიტეტს დღემდის მიუღია 124 ათას მანეთამდე. სხვათა შორის ამ ბოლოს დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ შეუწირავთ: გენერალ-ადიუტანტის ქვრივს ე. შ. შერემეტევისას 200 მ., შუშის ქალაქის მოურავს—600 მ., ბ. შარაბანდოვს—1,000 მ. და შიშკინს—600 მან; მშაკი-ს რედაქციას—4,000 მ., ბაქოს საზოგადო საკრებულოს—1,000 მან. შემდეგ წაკითხულ იქმნა ახალქალაქის კომიტეტის ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდგანა სჩანს, კომიტეტს ფულად შემოწირულება მიუღია 6,813 მ. 26 კაპ. ამავე ანგარიშიდგანა სჩანს, რომ მიწის-ძვრისაგან დაღუპულა სულ 241 სული, დაშავებულა —55 კაცი: 2,480-მდე საქონელი დაღუპულა. შემდეგ კომიტეტმა მოისმინა დაწვრილებითი ანგარიში საგუბერნიო ექიმის ბ. ტ. ს. ქიქოძისა, რომელმაც დაიარა ყველა მიწის ძვრისაგან დაზარალებული სოფლები. დაზარალებულა სულ 21 სოფელი, აქედამ 19 ახალქალაქის მაზრაშია და 2-ც გორის მაზრაში. დასასრულ კომიტეტმა დაადგინა: 1, გამოეცხადოს ულრმესი მადლობა მკურნალს ბ. პ. ვ. უსპენსკის, რომელმაც დაზარალებულთ დიდი შემწეობა აღმოუჩინა ჰუმანიურ და სასარგებლო მოქმედებით; 2) მოიწვიოს ექიმი, ადგილობრივი ენების კარგად მცოდნე, რომელსაც თვიურად დაენიშნება 300 მან. ჯამაგირი და 3) იყიდოს 35 საწოლისათვის ლოგინი.

ამავე კრებაზე დაადგინეს, რომ იმ ორს მასწავლებელს, რომელთაც ეძლევათ ჯამაგირი მიწის ძვრისაგან დაზარალებულ სოფლების მცხოვრებთაგან, დაენიშნოთ 1 სექტემბრამდის თითოს 30 მან. თვეში.

⁂ გუშინ წინ, 14 იანვარს, ნინობა თვის სიონის ტაძარში მწირველი ბრძანდებოდნენ გორის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ლეონიდი და ალავერდის ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო კირიონი. წირვას ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო.

⁂ წმ. ნინოს დედათა სასწავლებელმა 14 იანვარს გარდაიხადა თვისი საეკლესიო დღესასწაული. ამ დღეს მწირველი ბრძანდებოდა მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე. წირვის შემდეგ გამართულ იქმნა აქტი, რომელზედაც დაესწრენ: კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ი. ნ. სვეჩინი და სხვანი. აქტი გათავდა ნაშუადღევის სამ საათზე. საღამოს გამართულ იქმნა ბალი ამ სასწავლებლის მოსწავლე ქალთათვის.

⁂ კავკავის ქართველობა სწორედ სამაგალითოდ მოქმედებს. მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ წარსულს 25 დეკემბერს ქართველებმა მშვენიერი საღამო გაამართეს თავისი სკოლის საკუთარს შენობაში, საიდგანაც ას ოცი თუმანი შემოსავალი მიიღეს სკოლის სასარგებლოდ და რომელზედაც დაესწრო თვით თერგის ოლქის უმფროსი. გუშინ წინ, 14 იანვარს, სკოლაშივე გაუმართეს შობის ხე ყველა კავკაველ ქართველს ბავშვებს. ყველიერში ექმნებათ უფასო წარმოდგენა ხალხისათვის დივერტისმენტით და ქართული ადგილობრივი ხოროთი, დიდ მარხვაში აპირებენ ქართულის წარმოდგენის გამართვას თეატრში. აპირობენ აგრეთვე სკოლის სახლს მიაშენონ ერთი დიდი დარბაზი, სადაც გაიმართება სახალხო ლექციები, კონცერტები და წარმოდგენები. ეკკლესია ხომ საკუთარი ააშენეს აგერ ერთი წელიწადია, სადაც კავკაველი ქართველობა ისმენს თავ ისს დედა-ენაზე წირვა-ლოცვას და ტკბილს მშობლიურს გალობას. ამისთანა ნაყოფიერი მოქმედება აიხსნება იმითი, რომ სწორედ სამაგალითო თანხმობით მოქმედებენ წევრნი იქაურის ქართველის საზოგადოებისა და სკოლის გამგე-მწარმოებელნი.

⁂ კვირას ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში გამართული იქნება საღამო სომხურ სასცენო-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. მონაწილეობას მიიღებს ყველა მეტად ცნობილი ხორო.

⁂ ამ უკანასკნელს ხანს გორის მაზრაში ძალიან გახშირდა ავადმყოფობა სახადითა, ყელის ჭირვებითა და წითელით.

⁂ ქალაქის გამგეობის აშენებულ განყოფილებაში ამ ჟამად ადგენენ პროექტს ცეცხლის მქრობელ რაზმთა მოსათავსებელ შენობის ასაგებად კონსულის ქუჩაზე ქალაქის საკუთარს ადგილზე.

⁂ როგორც „კავკ.“-ს ატყობინებენ, 27 დეკემბერს ღამით სოფელს სიონში (ბორჩალოს მაზრა) მოუკლავთ ცოლი, ქალიშვილი და მოსამსახურე ქალი თავ. მელიქიშვილის მამულის მოურავის ადამოვისა, იმავე ღამეს სოფ. სადახლოში მოუკლავთ სოფ. ჯვარის ერთი მცხოვრები. მკვლელთა აღმოსაჩენად გაგზავნილ იქმნენ ბოქაული თ. წულუკიძე და პოლიციის დარაჯთა ასეული კორნეტი არუშიძე ჩავრებით. მკვლელი უკვე შეუპყრია ბოქაულს წულუკიძეს.

---

## წერილი ქუთაისიდგან.

9 იანვარს დილით ქუთაისის თეატრში ქ-ნ ნაზაროვის თაოსნობით გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური დილა, რომლის შემოსავალი გადაიდება ადგილობრივ „ყრმათათვის მზრუნველ საზოგადოების“ სასარგებლოდ. პროგრამმა დილისა არ იყო მაინცა და მაინც ხელოვნურად შედგენილი, ასე რომ ყმაწვილებმა ვერ მიიღეს იმდენი სიამოვნება, რამდენიც მოსალოდნელი იყო. ყველაზედ მეტად ყმაწვილები ასიამოვნა ბ-ნ სირაძის მიერ შედგენილმა სამოქალაქო სასწავლებლის ხორომ, რომელმაც რამდენიმე რუსული სიმღერა სთქვა. ბ-ნ სირაძეს ეტყობა ცოდნა, სიყვარული და ბეჯითობა საქმისა, რაიცა ცხადად გამოჩნდა ამ დღეს სცენაზედ. ხორომ მწყობრად და სასიამოვნოდ სთქვა ხუთი-ექვსი სიმღერა. აქ არ შეგვიძლიან მცირედი საყვედური არ გამოვთქვათ იმის შესახებ, რომ ხორომ არც ერთი ქართული სიმღერა არ გაგვაგონა. დარწმუნებული ვართ, რომ ქართულ სიმღერებშიაც მოიპოვება ისეთი სიმღერები, რომელიც საკმაოდ დაატკბობს მსმენელთა ყურს. იმედია ამ შენიშვნას ყურადღებას მიაქცევს ბ-ნი სირაძე და კვლავ მაინც გაგვაგონებს რუსულ სიმღერებთან ქართულსაც.

სასიამოვნოდ და მოხდენილად დაუკრა როიალზედ ქართული ბაიათი კნ. ერისთავისამ. ჩვეულებრივად დაგვატკბო ქალბატონ მ. გ. ძნელაძის ნაზმა და მოხდენილმა გალობამ. კარგად კითხულობდა ლერმონტოვის ლექსს „Пѣсня про царя Ивана Васильевича, молодого опричника и удалого купца Калашникова“ ბ-ნი ს—ი, მაგრამ ამ ლექსის მოსმენა მაინც მოსწყინდათ ყმაწვილებს, რადგან მისს კითხვას თითქმის ნახევარს საათზედ მეტი მოუნდა. ყმაწვილებს მოთმინება დაეკარგათ და ყვირილი მორთეს: „კმარა, კმარაო!“ ამასთან ბუნდოვანი სურათებიც ნამეტანი ბუნდოვანი გამოვიდა, ასე რომ ყმაწვილებმა ვერაფერი დაინახეს. ვერც პატარა სცენამ გოგოლის თხზულებიდგან „Мертвыя души“ დააკმაყოფილა ყმაწვილების ცნობის მოყვარეობა: ბევრმა სრულიად ვერ გაიგო ამ სცენის შინაარსი.

ამავე დღეს საღამოს თეატრში ქართული წარმოდგენა იყო, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ახალგაზდა არტისტი ქალი ანასტასია აბაშიძის ასული, რომლის სახელმა დიდ-ძალი საზოგადოება მიიზიდა. თეატრი სავსე იყო მაყურებლებით, მაგრამ პიესა მეტის-მეტად უშინაარსო და უსიცოცხლო გამოდგა. საზოგადოებას-კი ჰსურდა, ეს ნიჭიერი ქალი უკეთესს პიესაში და უფრო უკეთესს როლში ენახა.

დღეს მესამე დღეა, რაც ქუთაისში საშინელი ცივი და ძრიელი ქარი ჰქრის, რამაც დიდი ზარალი მისცა ღარიბ მცხოვრებთ.

ზ—ი

---

## წერილი კავკავიდგან

ამას წინად ვსწერდი, რომ კავკავში გამართულმა ქართულმა საღამომ საზოგადოთ ჩინებულად ჩაიარა მეთქი. ამ ნაყოფიერად ჩატარებულს საღამოს მოჰყვა სხვა საკეთილო აზრებიც, რომლის განხორციელებას გულ-მხურვალედ ეტანებიან ყველა აქაურ ქართველთა გულ-შემატკივარნი. სკოლის შენობის სივიწროვემ, რომელიც შემჩნეული იქმნა საღამოს დროს, გამოიწვია ის აზრი, რომ სკოლის შენობას მიემატოს კიდევ ერთი მოზრდილი დარბაზი, რომლის აშენება იკისრა, ნაცნობთა შორის შემოწირულების შეგროვებით, პატივცემულმა ქართველმა და კეთილ საქმისათვის ყოველთვის დაუღალავმა მუშაკმა იოსებ გრიგოლის ძე შვილევმა. ის საზოგადო თანაგრძნობა, რომელიც სუფევს აქაურს მკვიდრთა შორის კავკავის სკოლისადმი, თავდებია იმისი, რომ რა კეთილს საქმესაც დაიწყებენ, ყველა სასურველად დაბოლოვდება. ნათლი ღების ღამეს, 6 იანვარს, თავი მოიყარეს ერთად ოცზედ მეტმა ქართველმა და რამდენიმე უცხო კაცმაც, რომელთაც საღამოს გამართვაში მონაწილეობა მიიღეს: ეს პატივცემული კაცები, თანახმად მათის სურვილისა, მიწვეულნი იყვნენ მასწავლებლების მიერ ვახშმად, რომლის დასაწყისს ბ-ნმა პ. ალ. გოთუამ წაუკითხა ყველას დაწვრილებითი ანგარიში საღამოს შესახებ. ანგარიშიდგან სჩანდა, რომ ყველა ხარჯს გარდა ნაღდი ფული დარჩენილიყო 891 მ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

60 კ. მაშინვე ერთმა პატივცემულმა ქართველმა—აბრამ თამაზიშვილმა ეს ფული შეასრულა 900 მ. და 60 კ. ამ შინაურს ვახშამზედ ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა, მაგრამ ყველაზედ უფრო შესანიშნავი იყო სიტყვები ქალაქ ყიზლიარში მცხოვრების, საზოგადო საქმისათვის ყოველთვის გულშემატკივარის, მიხეილ პავლეს ძის ჯაფარიძისა, რომელიც დიდი ხანია კარგად იცნობს კავკავის ქართველ საზოგადოებას და მისს სასწავლებელს. ბ-ნმა მიხ. ჯაფარიძემ წარმოსთქვა ის აზრი, რომ სასწავლებელი რომ მომავალში უზრუნველ ყოფილ იქმნეს, საჭიროა აქედგანვე ვიზრუნოთ მისთვის, რათა ამ სასწავლებელს დავუარსოთ ძირითადი ხელუხლებელი თანხა; ამისათვის ამ ხანად ვსწირავ ჩემის მხრით ამ საქმის განსახორციელებლად 100 მანეთს. ეს აზრი ყველას მოეწონა და, შეძლებისა და გვარად, ყველამ მოიწადინა მისი განხორციელება. ბ-ნმა იოსებ შვილევმა იქვე გადასცა ასი მანეთი ხსენებულის საგნისათვის პ. ალ. გოთუას, რომელმაც თავისის მხრითაც შესწირა 25 მანეთი, მიხ. ვას. ინასარიძემ აღუთქვა ხუთი თუმანი, აღუთქვეს დახმარება აგრეთვე მოსე ანთიმოსის ძემ კალანდარიშვილმა, რომელიც ისედაც ყოველთვის დიდი შემწე და დამხმარეა კავკავის სკოლისა, ივ. ფიცხელაურმა, ივანე ჩითაიშვილმა და ერთმა მალოროსმა, რომელმაც 15 მანეთი გადასცა ბ-ნს შკილევს. ამ ნაირად, როგორც ნამდვილად ვიცით, დღეს ნაღდათ თუ დაპირებით ხსენებულის ძირითადის თანხისათვის შეკრებილია 500 მანეთამდის. აქაურს სამზრუნველო კომიტეტს აზრად აქვს, ყოველ წლიწადს სრული შემოსავლიდგან 10% გადასდოს ხსენებულის საქმისათვის, გარდა იმ შემოწირულებისა, რომელსაც პირდაპირი დანიშნულება ექმნება, და ძირითადს თანხას მოუმატოს. სამზრუნველო კომიტეტმა დაადგინა, რომ ამ ძირითადს თანხას ეწოდოს სახელი სასწავლებლის დამაარსებელის ნეტარ-ხსენებულის მიხეილ ზაალის ძის ყიფიანისა, რომლის მამობრივს ზრუნვას კავკავის ქართველები არაოდეს არ დაივიწყებენ. ამ ამბიდგან მკითხველები დაინახვენ, რომ კავკაველი ქართველები სასწავლებლისათვის ზრუნვაში საუკეთესო გზას დასდგომიან, რაიცა შედეგია იმისი, რომ კეთილს სურვილს ხალხისას საკუთარი „მე“ არ ეღობება გზაზედ და ხელს არ უშლის საზოგადოების კეთილის აზრების განხორციელებას.

კახაბერი

## წერილი სოხუმიდგან.

არა მგონია, რომ ისე უწესოდ იყიდებოდეს სადმე ხორცი, როგორც სოხუმში. 20 ნოემბერს საბჭომ დაადგინა ნიხრი პირველის ხარისხის ძროხის ხორცისა რვა კაპეიკი და მეორისა—შვიდი კაპეიკი. მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდით და ყასბები-კი ისევ ძველებურად ორ შაურს ახდევინებენ ხალხს გირვანქა ხორცში და მერე რა ხორცში! ესეც არ იკმარეს თავგასულმა ყასბებმა და ხუთ იანვარს პირობა შეჰკრეს, ხორცი აღარ გავყიდოთ, ვიდრე ფასი მომეტებული არ იქმნებაო, და ერთ დღეს უხორცოდ დასტოვეს მთელი ქალაქი. მეორე დღეს არა ჩვეულებრივი კრება დანიშნა ქალაქის გამგეობამ და დაადგინა ნიხრი: ორი შაური პირველის ხარისხის ხორცისთვის. ეს ნიხრი ბ-ნ გუბერნატორისაგან უკვე იქმნა დამტკიცებული, მაგრამ სად არის პირველ ხარისხის ხორცი? აქ ხარისხები არ არსებობს. რომელიც უნდა იკითხოთ, კამბეჩის ხორცს აგიწონავენ. ამას კიდევ ვინ სჩივის, რომ ამით დაკმაყოფილებულიყვნენ სოხუმის ყასბები: ისინი ეხლაც ნაზობენ და საჩივარს აპირებენ,—ზარალი მოგვდის ორ შაურად გირვანქა ხორცის გაყიდვითაო.

ამ ზამთარში ხალხი ძლიან შეაწუხა გემების უწესოდ სიარულმა. აქ კაცი არამცთუ კვირაში ერთ გემს ვერ ეღირსება, იმასაც ვერ გაიგებს, თუ როდის უნდა მოვიდეს გემი, რომ ტყუილად დრო არ დაჰკარგოს და ხარჯი არ გასწიოს გემების ლოდინში. ვერც სააგენტოში და ვერც სხვაგან ვერავინ ნამდვილს ცნობას ვერ მიიღებს გემის მოსვლის შესახებ.

„ველითო“, „ჩქარა იქნებაო“, გეუბნებიან სააგენტოებში, ხადახან ერთი კვირაც კი გრძელდება გემების ლოდინში და ხალხი უკანასკნელ გროშს ხარჯავს და ცალიერ ტალიერი მიდის შინ. ზოგიერთმა გავლენიანმა კაცებმა სთხოვეს გემთა საზოგადოების გამგეობას—დადგენილ იქმნას წესი გემთა მიმოსვლისა და არ გაუქმდეს გემების შემოსვლა სოხუმში, როგორც ეხლა არის. 3 იანვრიდგან სოხუმში სატვირთო გემი არ მოსულა. როგორც იუწყებიან, ოდესის ნავთ-სადგური გაუყინავს და იქ მოჰყოლიან გემები. ეხლა ცნობა მოვიდა, რომ 7 იანვარს გამოვიდა ოდესიდგან გემი „პუშკინი“.

მექი.

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ინგლისურ გაზეთის „Daily Mail“-ის სიტყვით, შნეიდერის ქარხანა კრეზოში (საფრანგეთში) კიდევ ამზადებს თურმე ბურებისათვის ზარბაზნებს. აი რას იწერება კრეზოდგან ხსენებული გაზეთის კორესპონდენტი:

„სარწმუნოდ გავიგე, რომ შნეიდერის ამხანაგობა გულმოდგინედ ამზადებს ზარბაზნებსა და საჯარებელ სასომარ იარაღს ბურებისათვის და ამასთანავე 12 დიდი ზარბაზანი მზად არის გემებზე დასაწყობად. განუწყვეტლად მუშაობენ როგორც დღით, ისე ღამით. აქ იმედი აქვთ, ჩქარა კიდევ გაუგზავნონ ბურებს 30 ზარბაზანი, რომლებსაც გემებზე დააწყობენ სხვა-და-სხვა სახელწოდებით, მაგალითად, ხალიჩებისა, მანქანებისა და სასოფლო სამეურნეო იარაღებისა. აგრეთვე სარწმუნოდ გავიგე, რომ უკანასკნელ 18 თვის განმავლობაში შნეიდერის ქარხანას 100 საუკეთესო ინჟინერზე მეტი გაუგზავნია სამხრეთ აფრიკაში, რომელთაც ზარბაზნების სხმარება უნდა ესწავლებინათ ბურებისათვის. ეს ინჟინრები იუწყებიან, რომ ბურებმა დიდი ნიჭი გამოიჩინეს და ისე ადვილად შეეჩვივნენ ზარბაზნების სროლას, რომ გაკვირვებული ვართო. ინგლისელების წინააღმდეგ მოძრაობა არ არის კრეზოში, მაგრამ აქაური მუშები გულმტკივნეულად ლაპარაკობენ ინგლისის ჯარის კაცთა შესახებ: „როგორ გაუმაგრდებიან ის საწყლები კრეზოს ზარბაზნებსო?“

— გაზ. „Times of Natal“-ს ატყობინებენ, რომ დეკემბრის დამდეგს საფრანგეთის გემი „Cironde“ მავიდა დელაგოას და ექვსი დიდი ზარბაზანი და 50 ტონი (ტონი 62 ფუთზედ ცოტა მეტია) ყუმბარები მოიტანა კრეზოს ქარხნიდგანაო. ეს ტვირთი გადმოტანილ იქმნა ნაპირზე ორ ინგლისურ გემის ცხვირ წინ და პრეტორიაში გაჰგზავნესო.

## სასამართლოს მატიანე

თავ. ტუსიშვილისა, ბარათაშვილისა, ოსიტაშვილისა და ტერ-შმოვანოვის საქმე.

13 იანვარს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე თავ. შ. ტუსიშვილისა, თავ. ვლ. ბარათაშვილისა, გრ. ოსიტაშვილისა და ტერ-შმოვანოვისა, რომელთაც, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, აზ. გაბაშვილის მოკვლა ჰბრალდებათ. თავმჯდომარეობდა პალატის წევრი ვ. ვ. კარნოვიჩი, წევრებად იყვნენ ლ. ფ. ჟუკოვსკი და ი. ი. ოპტოვცევი, ბრალსა სდებდა ე. ა. ხოდოვსკი, ბრალდებულთ იცავდნენ: თავ. ტუსიშვილს—ნაფ. ვექ. ს. ვ. ჩემესოვი, თავ. ბარათაშვილს—ნაფ. ვექ. გ. ს. ტერ-სტეფანოვი და ნაფ. ვექ. თანაშ. გრუზენბერგი, ოსიტაშვილს—ნაფ. ვექ. პ. ა. ოპოჩინინი და ტერ-შმოვანოვს—გრუზენბერგი.

როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ოლქის სასამართლომ ბრალდებულთ, ტერ-შმოვანოვის გარდა, 4 წლით კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტა. სამოსამართლო პალატამ, სადაც შემდეგ საქმე იქმნა გადატანილი, ოთხივე ბრალდებული დამნაშავედ სცნო და ოთხივეს 4 წლით კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტა. ამ განაჩენის გამოცხადების შემდეგ, ტერ-შმოვანოვმა, რომელიც დაპატიმრებული არ იყო, დამალვა განიზრახა, მაგრამ ბაქოში დაიჭირეს და დააპატიმრეს.

შემდეგ ეს საქმე ბრალდებულთ სენატში გადაიტანეს. სენატმა სცნო 1, რომ სასამართლო პალატამ დაარღვია ტერ-შმოვანოვის განსამართლების დროს სისხლის სამართლის წესდების მე-766, 797 და 892 მუხ. იმით, რომ იგი დამნაშავედ სცნო მოწმეთა ლებრიევისა და ლაცაბიძეს ჩვენების ძალით, მაშინ როდესაც ამ მოწმეებმა განაცხადეს, რომ ვიღაცამ დაიძახა: „ხანჯლები ამოიღეთო!“, მაგრამ ის კი არ განმარტეს, ვინ წამოიძახა ეს სიტყვები. ლაცაბიძემ სთქვა, ეს სიტყვები იმან დაიძახა, ვინც მე მიჭერდა, ხოლო მიჭერდა ის, რომელსაც პალტო ეცვა, მაგრამ ამასთან ამ კაცის სახე არ დამინახავსო; და 2, რომ ლაცაბიძისა და ლებრიევის ჩვენებიდგან არა სჩანს დანაშაულობა ტერ-შმოვანოვისა. რაც შეეხება დანარჩენ ბრალდებულთ, სენატმა სცნო, რომ საჭირო იყო იმის გამორკვევა, თუ თითოეულს მათგანს რა დანაშაულობა მიუძღვის. ამასთან გამოირკვა, რომ გაბაშვილი სასიკვდილოდ ორს ადგილას დასჭრეს, თავსა და ხელში; აგრეთვე ის, რომ თავში იგი ბარათაშვილმა დასჭრა; ამიტომ პალატის განაჩენში შეცდომაა, რადგანაც გამოდის, რომ სამივე ბრალდებულს დაუჭრია სასიკვდილოდ გაბაშვილი, ამასთან სამივეს ორს ადგილას.

ამის გამო სენატმა დაარღვია პალატის გარდაწყვეტილება და ამ საქმის განხილვა ხელ-ახლად დანიშნა.

პალატაში საქმის განხილვის შემდეგ, ბრალდებულმა ბარათაშვილმა ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს განცხადება გადასცა, რომელშიაც ამბობდა, რომ ჩვენის საქმის გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის დროს ბრალდებულთ მოწმეები მოისყიდეს, რამაც საქმე არივ-დარია. ბრალმდებელმა ეს საჩივარი გამოსაძიებლად ბოქაულის თანაშემწეს რატიშვილს გადასცა, რომელმაც გამოარკვია, რომ ბრალდებულთ, ტერ-შმოვანოვის გარდა, მართლა მოუსყიდნიათ მოწმეები. ამის გამო სამოსამართლო პალატის ბრალმდებელმა მოითხოვა, რომ ამ საქმის გამოსარკვევად ახალი მოწმენი იქმნენ დაბარებულნი. სულ ბრალმდებელმა 11 მოწმე დაიბარა, ხოლო ბრალდებულთ—6.

მოგვყავს აქვე ზოგიერთ მოწმეთა ჩვენება:

**ბოქაული ფირუმოვი.** იმ დილით, როდესაც მკვლელობა მოხდა, ტუსიშვილთან მივედი. როდესაც გაალვიძეს და ვთხოვე პოლიციაში წამოსვლა, ტუსიშვილმა მკითხა: „რა ამბავია, რა მოხდაო?“ ტუსიშვილის ხანჯალი გავსინჯე, მაგრამ ზედ სისხლი არ აღმოჩნდა.

**თავმჯდ. კარნოვიჩი.** როდესაც ტუსიშვილმა დაგინახათ, არა გკითხათ: „გაბაშვილი ხომ არ მომკვდარაო?“

**ფირუმოვი.** არა, არ უკითხავს.

**პალატის წევრი.** თქვენ წინად სხვა განაცხადეთ და ეხლა სხვას ამბობთ. რადა სცვლით ჩვენებას?

**ფირუმოვი.** მე არ მახსოვს წინანდელი ჩემი ჩვენება. მეეტლემ ლებრიევმა მიამბო, რომ გაბაშვილი ოთხმა თავადმა მოჰკლაო, მაგრამ ვინ იყვნენ ეს თავადები, მეეტლემ არ იცოდა.

გას. კალაშნიკოვმა განაცხადა, რომ მეეტლე ლებრიევი ამ საქმის შემდეგ გამდიდრდაო; იყიდა საათი, კარგი ტანისამოსი. ჩემის აზრით, ლებრიევი ტუსიშვილმა და ბარათაშვილმა მოისყიდესო.

**დიმ. კალაშნიკოვი.** ვერაზედ ჩემთან მოვიდნენ სიკო ჯავრიევი და მოხუცი ოსიტაშვილი. მთხოვეს ლაცაბიძესთან წაგვიყვანეო. მეორე დღეს ხელ-ახლად მოვიდნენ და მთხოვეს, მოგვეხმარე როგორმე, ლაცაბიძე დავიყოლიოთ საქმის გარჩევის დროს მხოლოდ „ერთი წინადადება“ სთქვასო. ამისთვის ლაცაბიძეს 40 მანეთი შეაძლიეს, მაგრამ იმან არ აიღო.

**მეეტლე ლებრიევი.** ჩემს მოსყიდვას ბარათაშვილი და ტუსიშვილი სცდილობდნენ, კნ. ბარათაშვილისაგან ერთხელ მივიღე ერთი მანეთი, მეორედ 100 მანეთი და მესამედ 1 მან., ტუსიშვილისაგან ერთხელ 5 მან. და მეორედაც 15 მანეთი. მირჩევდნენ მეთქვა, რომ ტუსიშვილი ეტლიდგან არ გადმომხტარაო.

შემდეგ ნადეჟდა ლორენცოვისამ განაცხადა, ტუსიშვილებმა 200 მანეთი შემომაძლიეს, რათა მეთქვა, რომ ტუსიშვილი ეტლიდგან არ გადმომხტარა-მეთქი. მაგრამ მე არ მივიღე. აქვე ვაცხადებ, რომ ეტლიდგან ყველანი გადმოხტნენ. ამასთან პირველი ტერ-შმოვანოვი გადმოხტა და დაიძახა: „გაიძრეთ ხანჯლებიო“.

**მეტეხის საპყრობილეს ზედამხედველი ოზუშკინი.** ტუსიშვილმა, ბარათაშვილმა და ტერ-შმოვანოვმა ოლქის სასამართლოში საქმის გარჩევამდე ერთმანეთ შორის პირობა დასდეს მკვლელობა ოსიტაშვილს დააბრალონ. ოლქის სასამართლოში საქმის გარჩევის შემდეგ-კი ბრალდებულთ გადასწყვიტეს მკვლელობა ბარათაშვილს მოახვიონ თავზედ.

განაჩენი ამ საქმის გამო სამოსამართლო პალატამ მეორე დღეს, 14 იანვარს, გამოაცხადა. პალატამ ოთხსავე ბრალდებულს 4 წლით კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტა.

## დაჰკვირდი

დედაკაცი ჭკვიანს კაცს მაშინ დააფასებს ხოლმე, როდესაც სულელის ცოლი შეიქმნება.

საფირი

* * *

რიგიან ხალხთან იარე და შენც მათ შორის ჩაირიცხები.

ჯორჯ ერბერტი

* * *

ერის საგვარტომო მისწრაფების დაკარგვას მოსდევს გამრავლება უთავოსნო, ნაზირალა და ჩია კაცთა.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

ამ უკანასკნელ დროს ევროპის სახელმწიფონი თან და თან ახალ-ახალ მიწებს უმატებენ თავიანთ სამფლობელოებს. როგორც ამის შესახებ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, უკანასკნელ 18 წლის განმავლობაში ევროპის სახელმწიფოებს თავიანთის სამფლობელოებისათვის მიუმატებიათ სულ 8,650,000 ოთხ-კუთხი მილი, აქედგან ინგლისს—4,000,000 მილი, საფრანგეთს—3,000,000 მილი, გერმანიას—1,000,000 მ., რუსეთს—265,000 მ., ამერიკის შეერთებულ შტატებს—160,000 მ., ჰოლანდიას—120,000 მ. და პორტუგალიას—100,000 მილი. ამ ჟამად ინგლისის ახალშენები თვით ინგლისს 57-ჯერ აღემატება, საფრანგეთის ახალშენები საფრანგეთს—18-ჯერ, ჰოლანდიისა—65-ჯერ, პორტუგალიისა 22-ჯერ და გერმანიისა—5-ჯერ.

* * *

ამ ბოლოს დროს, ცხენის რკინის გზების ნაცვლად, ევროპის ქალაქებში ძალიან მოუხმირეს ელექტრონის რკინის გზებს. 1891 წ. ელექტრონის რკინის გზა გერმანიაში მხოლოდ სამ ქალაქში იყო. 1898 წელს-კი ასეთი გზები უკვე 68 ქალაქში იყო გაყვანილი, ხოლო უკანასკნელ 1899 წელს კიდევ 35 ქალაქში გაიყვანეს. სიგრძე გერმანიის ქალაქებში გაყვანილ ყველა რკინის გზებისა 1899 წლის გასულს 2000 ვერსტს აღემატებოდა.

* * *

25 დეკემბერს, შობა დღეს, როგორც „Сарат. Лист.“-მ იუწყება, წირვის დროს დიდი უბედურება მომხდარა სოფ. პატარა უზენის ეკკლესიაში. სახარების წაკითხვის შემდეგ, მოულოდნელად ჩამოქცეულა ჭერის ერთი ნაწილი და ხოროს სადგომი. ხალხს დაუნახავს თუ არა ეს, ერთი ყვირილი, ტირილი და წივილ-კივილი დაუწყვია. შეშინებულნი მლოცველნი უკანა კარებისაკენ გაქანებულან, მაგრამ ეს კარები ნანგრევებით უნახავთ გაჭედილი. გვერდის კარებები კიდევ მაგრა ყოფილა კლიტით დაკეტილი. ამას უფრო შეუშინებია ხალხი, ზოგი ჰყვიროდა თურმე, „ეკკლესიას ცეცხლი წაეკიდაო“, ზოგი—„სამრეკლო ჩამოიქცა და მთელი ტაძარი ინგრევაო“; ერთის სიტყვით, თავ-ზარ დაცემულმა ხალხმა აღარ იცოდა რა ექმნა თურმე. საბედნიეროდ ამ დროს ეზოშიაც ბევრი ხალხი ყოფილა. ესენი მისცვივნიან ეკკლესიის მარჯვენა კარებს და, ბევრის წვალების შემდეგ, გამოუმტვრევიათ იგი. ეკკლესიაში მყოფნი, როგორც ერთი კაცი, ისე გაქანებულან ამ კარებისაკენ. გამოსვლის დროს ბევრი გაუსრესიათ, ბევრიც მძიმედ დაუშავებიათ. 19 კაცი მკვდარი აღმოჩნდა თურმე, ამათგან

უმრავლესობა ქალები და ბავშვები ყოფილან. მძიმედ დაშავებულა 8 კაცი, ხოლო სუმბუქად 60-მდე.

### გამოსადეგი ცნობა

ვერცხლეული საუცხოოდ იწმინდება კართოფილისა, ცერცვისა ანუ ლობიოს ნახარშის წყლით. ასე გაწმენდილს ვერცხლს სიბრწყინვალეც-კი ემლევა. ხოლო თუ ეს წყალი დამყავდა, მაშინ თითბრეული უნდა გაიწმინდოს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 იანვარი.

**მოსკოვი.** 12 იანვარს მოსკოვის უნივერსიტეტმა იდღესასწაულა მე-145 წელი თავის არსებობისა.

**ბუენოს-აირეს.** როგორც როზარიოდგან იუწყებიან, იქ შავი ჭირი გაჩენილა.

**ნიუ იორკი.** ბრაიენმა სტამფორტში სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ამერიკამ ოქროს ვალიუტა შემოიღო, ჩვენი ქვეყანა დაემორჩილა ევროპის გავლენასო. თუ ეხლა, როდესაც ინგლისი ებრძვის პატარა რესპუბლიკას, ამერიკაში ამდენი მღელვარებაა, ადვილი წარმოსადგენია, რა იქმნებოდა, ინგლისს რომ დიდ სახელმწიფოსთან ებრძოლა.

**რომი.** დღეს გარეშე საქმეთა მინისტრმა და საფრანგეთის ელჩმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც დასრულდა 1891 წელს დაწყებული მოლაპარაკება მეწამულის ზღვის ნაპირების განსაზღვრის შესახებ.

**სპირმანსკამპი.** 12 იანვარს, დილიდგან დაწყობილი ასტყდა თოფის სროლა. ბურებმა თავი მიანებეს ერთ გორაკს, რომელიც მაშინვე ინგლისის ჯარმა დაიჭირა. ბურები ამოეფარნენ თხრილებს, აქ მათ რამდენიმე საათი დაჰყვეს. საღამოს აღმოჩნდა, რომ ბურები უკან დახეულიყვნენ. ბურები ხეობისკენ გაიქცნენ. ინგლისელები ამ დროს ყუმბარებს ესროდნენ.

**ლონდონი.** „ტიმეს“-ს დეპეშით ატყობინებენ სპირმანსკამპიდგან 11 იანვარს: დღეს მთელ დღეს სროლა არ შეწყვეტილა. ინგლისის ჯარმა ვერ მოახერხა წინ წაწევა. ბურებს რამდენიმე ზარბაზანი ჰქონდათ. მათ კარგად გაამაგრეს გასასვლელები“.

„Daily Mail“-ს დეპეშით ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდგან: „დღეს დილას პორტუგალიის მთავრობამ აუკრძალა ლორენცო-მარკეზში შემოსვლა ყველა იმ მგზავრებს, რომლებიც ტრანსვაალში მიდიან“.

**ბრიუსელი.** ტრანსვაალის საელჩოში დარწმუნებულნი არიან, რომ უორენის განზრახვა—ბურების თვის მეორე მხრიდგან მოეარნა, სისრულეში ვერ იქმნა მოყვანილი. უორენი იძულებულია შეებრძოლოს ბურების ძლიერს პოზიციებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბულლერის მთელი კორპუსი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდება. მაგრამ ეჭვი აქვს, რომ უორენის ჯარმა ეს საქმე სისრულეში მოიყვანოს.

**ლონდონი.** „Times“-ს ატყობინებენ მოდდერ-რივერიდგან: მაგგერსფონტეინთან მყოფი ბურები დიდს გაჭირვებაში არიან, რადგანაც მათი ბანაკი ანტისანიტარულ მდგომარეობაშიაო. ბურებს ხორცს გარდა სხვა სურსათიც შემოჰკლებიათ. ინგლისის ჯარი კარგ მდგომარეობაშია.

სამხედრო სამინისტრომ შემდეგი დეპეშა მიიღო სპირმანკამპიდგან 13 იანვარს: უორენის ჯარმა სპიონსკოპი სამშაბათს ღამე დაიჭირა. პატარა რაზმი ბურებისა, რომელიც ამ ქალაქში იდგა, უკუ იქცა. ვშიშობ, რომ ინგლისელები ძალიან დაზარალდნენ. გენერალი ვუდგეტი დაჭრილ იქმნა. ჯარი მამაცად იქცეოდა.

14 იანვარი

**პეტერბურგი.** გვარდიის ქვეითა არტილერიის კაპიტანს თავადს გაგარინს ებოძა სტატსკი-სოვეტნიკობა და ებრძანა იყოს დირექტორად საპოლიტეხნიკო ინსტიტუტისა, რომელიც ახლად არსდება პეტერბურგში.

ლორენცო-მარკეზიდგან მოვიდა დეპეშა, რომ იქ, 10 იანვარს, მისულა რუსეთიდან გაგზავნილი რაზმი წითელის ჯვრისა.

**შანხაი.** გადაწყვეტილია საფრანგეთის ახალშენი გაფართოვებულ იქმნას. შეთანხმება ძალაში 1900 წ. 14 იანვრიდან შევა.

**ბერლინი.** როგორც დეპეშები იუწყებიან, გენ. უორენს სამშაბათს დაუჭერია რამდენიმე პატარა სიმაღლე და არა სპიონსკოპი.

**ლონდონი.** გაზეთები ამტკიცებენ, რომ ბიულოვის სიტყვა შესამჩნევია საერთა შორისო უფლებათა განვითარების საქმეში. სიტყა არ იყო წარმოთქმული მშვიდი და შერიგების სურვილის გამომხატველი კილოთი. დიპლომატია უნდა იჩენდეს ნაკლებ სიმკაცრეს, ნაკლებ ბრძანებლობას—თუ სურს მოლაპარაკებით საქმე გაარიგოს. „რაც უნდა გამოვიდეს ნეიტრალურ გემების და სამხედრო კონდრაბანდის შესახებ მოლაპარაკებიდანო“—ამბობენ გაზეთები, ჩვენ მაინც დარწმუნებული ვართ, თუ მოლაპარაკება არ დასტოვებს მეგობრულს კილოს და დამყარებული იქმნება საზოგადოებრივს ინტერესებზე, ინგლისი ყოველთვის მზად არის მიიღოს იგი დიდის სიამოვნებით.

**დრეზდენი.** დღეს, დილის 11-ნახევარ საათზედ, გარდაიცვალა დედა გერმანიის იმპერატრიცისა, ჰერცოგინია შლეზვიგ-გოლშტეინისა.

**ბერლინი.** მოკავშირეთა საბჭომ მიიღო ფლოტის შესახებ კანონ პროექტი, რომელიც თხოულობს მეორე სამხედრო ფლოტის დაარსებას და ახალი გემების შეძენას.

**ვენა.** „Politiche Corr.“-ს სარწმუნო წყაროდგან შეუტყვია, რომ სერბიასა და ბოლგარიის შორის ჩავარდნილი უსიამოვნობა სერიოზულს არაფერს წირმოადგენს. ამ უსიამოვნებას ბალკანეთის ნახევარ კუნძულის საქმეებზე არავითარი გავლენა არ ექმნება.

**ლონდონი.** გენერალი ბარტონი იუწყება, რომ ინგლისელებმა ჩიველესთან, 11 იანვარს, დაჰკარგეს 11 კაცი, მათ შორის მოკლულია ერთი აფიცერი და ერთიც დაჭრილი.

**ნიში.** სკუპშჩინამ დაამტკიცა კანონი შემოსავლის კვალობაზედ გადასახადის გაწერის შესახებ. მინისტრ-პრეზიდენტი შეეკითხა სკუპშჩინას—ენდობით მთავრობას, თუ არაო.

**ლონდონი.** გაზ. „Standard“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ კოლსბერგთან 7000 ბურის მხედრობა ძლიერ შეაშფოთა იმ გარემოებამ, რომ ფრენჩს თან და თან გადაჰყავს თავისი ჯარები ამ ქალაქისაკენო.

როგორც „Daily Mail“-ს გაუგია, გენერალი უდგეტი დაჭრილია 11 იანვარს სპიონსკოპზე იერიშის მიტანის დროს და გარდაცვლილა.

**ლისაბონი.** სამხედრო მინისტრმა განაცხადა პალატაში, რომ მთავრობა არ აძლიერებს ლორენცო-მარკეზეს მეციხოვნე ჯარს და ეს იმას ამტკიცებს, რომ ამგვარი გაძლიერება ჯარისა მთავრობას საჭიროდ არ მიაჩნიაო.

**რომი.** 13 იანვარს პაპამ ინახულა რუსეთის ელჩი ჩარიკოვი, რომელმაც რუსეთის იმპერატორის მაგიერ ახალი წელი მიულოცა პაპას.

**გელსინგფორსი.** 14 იანვარს საიმპერატორო სასახლეში წარუდგნენ გენერალ-გუბერნატორს წოდებათა წარმომადგენელნი სეიმისა, რომელიც გაიხსნება 15 იანვარს.

**ლონდონი.** ბულლერი დეპეშით იუწყება 12 იანვარს: სამწუხაროდ უნდა გაცნობოთ, რომ, როგორც დღეს დილით შევიტყვე, უორენი იძულებული ყოფილა წუხელ სპიონსკოპი დაეცალა“.

**ლედი სმიტი.** ქალაქსა და პორტლიტელდრიფტს შორის ბურების ექვსი ბანაკი მოსჩანს და აგრეთვე ვხედავთ, მტრის ცხენოსანი რაზმები როგორ მიდიან ტუგელისაკენ. მაგრამ არავითარი ნიშანი არ არის იმისა, რომ ბურებს აქედგან ზარბაზნები მიჰქონდეთ; პირიქით, იმათ ამას წინად ახალი ზარბაზნები დასდგეს თავიანთ ბანაკში და გააძლიერეს სიმაგრეები. ამ ჟამად ლედი-სმიტი მიუდგომელ ადგილს წარმოადგენს. ციებ-ცხელებაც შემცირდა. ჯარს ამ ჟამად საკმარისი სურსათი აქვს.

**ლონდონი.** დილის გაზეთებში დეპეშა არის დაბეჭდილი, შანხაიდგან გამოგზავნილი 13 იანვარს: „როგორც ცნობები მოვიდა აქ, იმპერატორმა კუანგ-სუმ, ხელი მოაწერა-რა დეკრეტს და მადლობა გამოუცხადა ქვრივს იმპერატრიცას, წუხელ თავი მოიკლა. უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთ ჯერ არა მოუფიქრიათ-რა. დღევანდელ დეპეშებში იუწყებიან, რომ პეკინში უკვე მოვიდა საფრანგეთის ზღვაოსან ჯარის ერთი ქვეითა რაზმიო“.

25 იანვარი

**ლონდონი.** სპირმანსკამპიდგან მოსულ ოფიციალური დეპეშით, 12 იანვარს აი რა ზარალი მოუვიდათ ინგლისელებს: 6 აფიცერი მოუკლათ მტერმა, 13 დაუჭრათ 18 ალდათი მოუკლათ, 142 დაუჭრათ, 31 კაცი ტყვეთ წაიყვანა.

გარეშე საქმეთა სამინისტროში, მარკიზ სალისბერის თავმჯდომარეობით, ბჭობა ჰქონდათ მინისტრებს. კაბინეტის საბჭო შეიკრიბა სეფე სიტყვის შესადგენათ:

**სოფია.** გავრცელებულ ხმების გამო, რომ აზრათ აქვსთ ბოლგარიის დამოკიდებულობა გამოაცხადონო, მთავრობის გაზეთი „ნაროდნიე პრავა“ ამბობს, რომ არავის არ მოსვლია აზრად ასეთი საქმეო.

**პეკინი.** როგორც ისმის, ტახტის ახალი მემკვიდრე 5 თებერვალს იმპერატორად იქმნება გამოცხადებული ჩიკუანის სახელით. ჩრდილოეთ მხარეს, როგორც სჩანს, ხალხი ყურადღებას არ აქცევს ახალ ცვლილებას; სამხრეთისაკენ არეულობაა.

**ბრიუსელი.** დილის გაზეთებში დაბეჭდილია კერძო დეპეშებით, სპიონსკოპთან უორენს დაუხოცა მტერმა 800 კაცი, დაუჭრა 1,500 და წაართვა თითქმის მთელი არტილერია.

**პრეტორია.** დღეს ლედი-სმიტიდგან 200 ულანმა გამოსვლა დააპირა, მაგრამ მტერმა თოფ-ზარბაზნები დაუშინა მათ სიმაგრეებიდგან და იძულებულ ჰყო დიდის დანაკლისით უკანვე დაბრუნებულიყვნენ. ერთი ბური დაიჭრა.

**ლონდონი.** ჩემბერლენმა წერილით აცნობა, რომ ბირმინგამში მისვლა არ შემიძლიანო. სადაც ხვალ სიტყვა უნდა წარმომეთქვა, რადგან კაბინეტის საბჭოს უნდა დავესწრავო,

**პეტერბურგი.** შავი ჭირის წინააღმდეგ დაარსებული კომისია აცხადებს, რომ, რადგან შავი ჭირი არსებობს ასირრა და იემენში (არაბეთში), და შესამჩნევად გაძლიერდა ის ინდოეთში, და უკანასკნელ ხანებში რადგან შავი ჭირი ყოველ წლობით ჩნდება მექასა და ჯედაში სუნიტებსა და შიიტებს 1900 წელსაც აკრძალული აქვსთ გეჯარა და მესოპოტამიაში წასვლაო.

პეტერბურგის ბირჟა, 14 იანვარი.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა | | გაყიდულისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| 5% ... მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — | „ | — | „ | 218½ | |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — | „ | — | „ | 92 | |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100 | „ | — | „ | — | „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 98 | „ | — | „ | — | „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — | „ | 99 | | — | „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — | „ | 94 | | — | „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — | „ | — | „ | 98½ | |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | 90 | | — | „ | — | „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | „ | — | „ | 302 | |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | „ | — | — | „ | 283½ | |

### სასამართლოს ცნობები

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

პირველს სისხლის სამართლის დეპარტამენტში

18 იანვარი.

(ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადმოტანილი)

ვარდენულა სოსიკოს ძის საჯაიაძის, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-313 მუხ. 1 ნაწ. აღნიშნული ბრალი ედება.

სამსონ გეგეჭკორისა და ალექსანდრე გეგეჭკორისა, რომელთაც ქურდობა ჰბრალდებათ.

პირველი სამოქალაქო დეპარტამენტი

18 იანვარი

სენატის ბრძანებისა და დავით პატარაკაციშვილის სააპელაციო საჩივრით ამიერ-კავკ. რკინის გზის წინააღმდეგ დავა დასახიჩრების გამო ფულის გარდახდის შესახებ.

მესამე სამოქალაქო დეპარტამენტში

20 იანვარი.

(ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადმოტანილნი სააპელაციო საჩივარნი)

ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულის ეჯუბოვისა ხაზინის წინააღმდეგ მიწის შესახებ მანუჩარ ბასილის ძის რუსიას მიერ დაწყებულ დავის გამო.

სენატის ბრძანებით სიმონ ნადირაძის მიერ ხაზინის წინააღმდეგ მიწის შესახებ დაწყებულ დავის გამო.

გიორგი ადანიასი იმის შესახებ, რომ მოსპობილ იქმნას დავა 1890 წლის 5 მაისის 600 მან. სესხის ქაღალდის სიყალბის შესახებ.

დავით ბაქრაძის დავა, დაწყებული მღვდელ ზაქარია და გლეხ კიკოლა ბერუკაშვილებისა, გიგო სვირტლაძისა და სხ. წინააღმდეგ მამულის შესახებ.

დავით მერაბის ძის ზარაქაძისა და დავით მეძმარიაშვილისა სიყალბის შესახებ.

მესამე სამოქალაქო დეპარტამენტი

22 იანვარი.

იმ დავის საქმე, რომელიც აღიძრა: 1) გორის მაზრის სოფ. ატოცის გამიჯვნის დროს და 2) ზუგდიდის მაზრის სოფ. ხორგას მე-2, 4, 13, 60 ნაწილების გამიჯვნის დროს (საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენის შესახებ).

27 იანვარი.

(ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადმოტანილნი სააპელაციო საჩივარნი)

რობერტ რიხნერის ვექილისა ნიკო გეგენავას წინააღმდეგ მამულისა და შენობის დაქცევის შესახებ დაწყებულ დავის გამო.

რობერტ რიხნერისა დავით ნოდიასთან მამულის დავის გამო.


## განცხადებანი

ტფილისის საბაღოსნო სკოლა

კისრულობს ხეხილისა და სადეკორაციო ხეების ბაღების მგესი, შედგენასა და გაშენებას, ადგილობრივ და სხვა მემამულეთათვის ხეხილისა და სადეკორაციო ხეების მიწოდებას და საბაღე და სხვა მცენარეთა თესლეულობის გაგზავნას.

(12—6.—8)

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 16 იანვარს, 1900 წ.

ბენეფისი

## მ. მ. საფაროვისა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

## ალლუმი

კომედ. 4 მოქმ. გადმოკ. ვ. გუნიას-მიერ

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.


Дозволено цензурою, Тифлисъ 15 Января 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე